საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/56

ქ. ბათუმი 12 ოქტომბერი, 2016 წ

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან და ტურიზმის ფაკულტეტიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და 22-ე მუხლების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 14 ივნისის №70/ნ ბრძანების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 25 ნოემბრის N01 გადაწყვეტილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის დიანა ახვლედიანის 2016 წლის 06 სექტემბრის N0103593 სამსახურეობრივი ბარათის, ბსუ-ს საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი N1 ოქმისა და ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 07 ოქტომბრის N1207543 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევნები, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან 1 (ერთი) სტუდენტის და ტურიზმის ფაკულტეტიდან 1 (ერთი) სტუდენტის არჩევის მიზნით, უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების დარჩენილი ვადით (2014 წლის ნოემბერში არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადა- 2018 წლის 15 ნოემბრამდე).
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან და ტურიზმის ფაკულტეტიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა (სტუდენტების) არჩევნები ჩატარდეს 2016 წლის 25 ოქტომბერს, 10 საათიდან 17 საათამდე (საარჩევნო ოთახები გამოიყოფა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ და ინფორმაცია განთავსდება ბსუ-ს ვებ-გვერდზე).
3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად ფაკულტეტის ყველა სტუდენტის (მათ შორის ასისტენტის) მიერ აირჩევა ამავე ფაკულტეტის სტუდენტი. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი,

ნინოშვილის ქ. N35, ოთახი N4) 2016 წლის 12 ოქტომბრიდან 2016 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე.

4. კანდიდატებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ.

5. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

6. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრებს.

7. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**